

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

“25,, 08,, 2015 წელი

2 ეგზ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის
სამინისტრო

აუდიტის ანგარიში N22/105

2015 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 30 ივნისი

სარჩევი

აუდიტის ანგარიში

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
უპირობო მოსაზრება	5
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	5
რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები	5
რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები.....	5
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ასიგნებები.....	5
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	12
ანგარიშგების ფორმები.....	13

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ფინანსური აუდიტი, რომელმაც მოიცვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის II კვარტლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსის, რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების, რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2015 წლის II კვარტლის ნაერთი ბალანსის, ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად ხარჯების, არაფინანსური აქტივების საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლისა და არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის შესახებ ანგარიშგებების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშისა და ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დანიშნულებისამებრ წარდგენაზე, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“, „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტების შესრულების ანგარიშგების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 15 აპრილის N241 ბრძანების, „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების

ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, რომ აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი ფინანსთა სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

უპირობო მოსაზრება

ჩვენი აზრით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობით.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით 2015 წლის 6 თვეში ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების შედეგად, 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები 160144,4 ათასი ლარით განისაზღვრა.

2015 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის იანვარი-ივნისის შემოსულობებმა 92878,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2014 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 23010,0 ათასი ლარით აღემატება და წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული მოცულობის 58,0 პროცენტს შეადგენს.

რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესაბამისად გადასახდელების საპროგნოზო მოცულობა 181144,3 ათასი ლარით განისაზღვრა.

2015 წლის 6 თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადასახდელების სახით გადახდილი თანხების ფაქტიურმა მოცულობამ 68354,5 ათასი ლარი, ანუ 6 თვის საპროგნოზო მაჩვენებლის 90,5 პროცენტი, ხოლო წლიური გეგმის 37,7 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი 28844,9 ათასი ლარით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ასიგნებები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო კოდით გათვალისწინებული, 2015 წლის 6 თვის დაზუსტებული ბიუჯეტი

12183,1 ათასი ლარით განისაზღვრა. ამავე პერიოდის საკასო ხარჯი 11685,3 ათას ლარს შეადგენს, რაც საბიუჯეტო გეგმის 95,9 პროცენტია. სამინისტროს სახაზინო კოდით გათვალისწინებული პროგრამების ბიუჯეტის შესრულება შემდეგი სახისაა:


დასახელება	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულების %
აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	8094,3	7978,0	116,3	98,6
სახაზინო მომსახურება	107,5	95,5	12,0	88,8
რეკრეაციული ადგილების მოვლა-შენახვა (მათუმის ბულვარი)	2505,2	2186,5	318,7	87,3
საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა (გაზეთი „აჭარა“)	100,0	99,8	0,2	99,8
დამწყები და განვითარებადი ბიზნესის ხელშეწყობა (აიიპ „მათუმის ბიზნეს ინკუბატორი“)	37,8	37,2	0,6	98,4
საფრთხის შემცველი ობიექტებისათვის მომსახურების მიწოდება და მართვა (სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორია“)	255,4	205,3	50,1	80,4
ბუნებრივი და ტექნოლოგიური ხასიათის საგანგებო სიტუაციების რეგულირება და პრევენცია (სსიპ „აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტო“)	1083,0	1083,0	0	100
სულ	12183,1	11685,3	497,8	95,9

ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2015 წლის 6 თვის ნაერთი ბიუჯეტის შესრულება მოცემულია ცხრილის სახით

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების დასახელება	2015 წლის ბიუჯეტი	2015 წლის ხარჯები		გადახრა ფაქტ.ხარჯსა და გადახდას შორის		გადახრა გეგმა- საკასო	შესრ. %
	დაზუსტებული	საკასო	ფაქტობრ.	მეტობა	ნაკლებ.		
სულ ხარჯები							
1. ხარჯები	4980,0	4661,3	140281,8	135620,5		318,7	93,6
მათ შორის							
1.1 შრომის ანაზღაურება	1670,0	1524,5	1524,5			145,5	91,3
1.2 საქონელი და მომსახურება	2048,0	1890,1	1764,4		125,7	157,9	92,3
1.3. სუბსიდიები	100,0	99,8	99,8			0,2	99,8
1.6 გრანტები	1083,0	1083,0	136835,4	135752,4		0	100
1.7 სოციალური უზრუნველყოფა	18,1	18,1	18,1			0	100

1.8 სხვა ხარჯები	61,0	45,8	39,6		6,2	15,2	75,1
არაფინანსური აქტივები							
2. სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	5144,8	4961,2				183,6	96,4
ფინანსური აქტივები							
3. ფინანსური აქტივების ზრდა	2222,9	2222,9				0	100
ვალდებულებები							
4. ვალდებულებების შემცირება	145,9	145,9				0	100
სულ	12183,1	11685,3				497,8	95,9

ქვემოთ მოცემულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აპარატის 2014 და 2015 წლების საკასო ხარჯების შედარების დინამიკა



წარმოდგენილი გრაფიკიდან ჩანს, რომ სამინისტროს (ნაერთი ანგარიში) 2015 წლის ხარჯები, გასული წლის მონაცემებთან შედარებით მნიშვნელოვანი ცვლილებებით ხასიათდება, კერძოდ:

➤ თანამდებობრივი სარგოს 2015 წლის 6 თვის ასიგნება 585,6 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდში ამ მუხლით გაწეულია 545,0 ათასი ლარის საკასო და ფაქტიური ხარჯი, რაც საბიუჯეტო გეგმის 97,5 პროცენტია და 3,7 ათასი ლარით ნაკლებია 2014 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე;

➤ პრემიის მუხლით გათვალისწინებული ასიგნების გეგმური მაჩვენებელი (103,0 ათასი ლარი) შესრულებულია 95,6 პროცენტით, ანუ გეგმის შესრულებას დააკლდა 12,4 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში პრემია გაცემულია ორჯერ, მარტისა და

აპრილის თვეებში, მატერიალური წახალისების კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე;

➤ საანგარიშო პერიოდში დანამატების მუხლით გაცემულია 268,1 ათასი ლარი, რაც თანამდებობრივი სარგოს მუხლით გაცემული თანხის 49,2 პროცენტია. დანამატების გაცემა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 21 იანვრის N9 განკარგულებით განსაზღვრული ზღვრული მოცულობების ფარგლებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე წარმოებს. სამ შემთხვევაში მუშაკებზე¹ დანამატები გაცემულია განკარგულებით განსაზღვრული მოცულობისაგან განსხვავებული ოდენობით, თუმცა აღნიშნულის მიზეზი ბრძანებებში არ არის განმარტებული;

➤ შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურების 2015 წლის 6 თვის საბიუჯეტო ასიგნება 127,2 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდში ამ მუხლით გაწეულია 125,4 ათასი ლარის ხარჯი, რაც საბიუჯეტო გეგმის 98,6 პროცენტს შეადგენს და 75,5 ათასი ლარით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. წარმოდგენილი აუდიტორული მტკიცებულების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში გაფორმებულია 34 შრომითი ხელშეკრულება, შტატგარეშე მუშაკთა დასაქმების შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულებები გაფორმებულია ერთი წლისა და მეტი ვადით, რაც ეწინააღმდეგება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს, რომლის შესაბამისადაც შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნული ან შრომითი ხელშეკრულებით, გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად;

➤ მივლინების მუხლის 2015 წლის 6 თვის საკასო ხარჯი 45,8 ათას ლარს შეადგენს, რაც საბიუჯეტო გეგმის 88,4 პროცენტია და 33,5 ათასი ლარით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. სამივლინებო თანხიდან დღიური ხარჯებისთვის ანაზღაურებულია 10,3 ათასი ლარი, მგზავრობისთვის - 16,9 ათასი ლარი, საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისთვის - 18,4 ათასი ლარი და ვიზისათვის - 0,2 ათასი ლარი;

➤ ოფისის ხარჯების მუხლის 2015 წლის 6 თვის საკასო ხარჯი 107,8 ათას ლარს შეადგენს, რაც საბიუჯეტო გეგმის 99,7 პროცენტია და 30,7 ათასი ლარით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. აღნიშნული მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯი 5,1 ათასი ლარით მეტია საკასო ხარჯზე, რაც გასულ წლებში შეძენილი საქონლის ექსპლუატაციაში გაშვებით არის გამოწვეული;

➤ წარმომადგენლობითი ხარჯების 2015 წლის 6 თვის საკასო ხარჯი 17,8 ათას ლარს შეადგენს, რაც საბიუჯეტო გეგმის 100 პროცენტია და 11,7 ათასი ლარით მეტია

¹ მინისტრის ბრძანებით 2 შემთხვევაში დანამატები შემცირებულია თანამდებობრივი სარგოს 60 პროცენტიდან 50 პროცენტამდე, ხოლო 1 შემთხვევაში 40 პროცენტიდან - 35 პროცენტამდე.

გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. აღნიშნული მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯი 0,9 ათასი ლარით მეტია საკასო ხარჯზე, რაც გასულ წლებში შემენილი საქონლის ექსპლუატაციაში გაშვებით არის გამოწვეული;

➤ ტრანსპორტის, ტექნიკის და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების მუხლის 2015 წლის 6 თვის საკასო ხარჯი 46,0 ათას ლარს შეადგენს, რაც საბიუჯეტო გეგმის 98,9 პროცენტია და 5,9 ათასი ლარით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. აღნიშნული მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯი 0,2 ათასი ლარით მეტია საკასო ხარჯზე, რაც გასულ წლებში შემენილი საწვავის გახარჯვით არის გამოწვეული;

საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში, სამინისტროს ბალანსზე რიცხულ 17 ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვისათვის გაწეულია სულ 46,2 ათასი ლარის ფაქტიური ხარჯი. მათ შორის სარემონტო და ნაწილების შეცვლისა და რემონტისათვის გადახდილია 20,0 ათასი ლარი და გახარჯულია 20037 ლიტრი, 26,2 ათასი ლარის ღირებულების საწვავი.

საყურადღებოა, რომ ისევე როგორც წინა წელს მიმდინარე წლის 6 თვეშიც 17 ავტოსატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვისათვის გაწეული ხარჯებიდან, ძირითადი ხარჯები გაწერილია შემდეგ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე:

N	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	2014 წლის რემონტის ხარჯი	2015 წლის 6 თვის რემონტის ხარჯი
1	ავტომანქანა „HYUNDAI SONATA“ CJC-062	6160	2390
2	ავტომანქანა „ტოიოტა კამრი“ BDB-225	4382	2308
3	ავტომანქანა ჰიუნდაი IX35 FCF-361	3312	2685
4	ავტომანქანა „ტოიოტა კოროლა“ DOO-611	4572	2393
ჯამი		18426	9776

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროში არასრულყოფილად ხდება მორიგე ავტოსატრანსპორტო საშუალებების² დანიშნულებისამებრ გამოყენების განმსაზღვრელი დოკუმენტების წარმოება³;

➤ სხვა დანარჩენი საქონელისა და მომსახურების მუხლის 2015 წლის 6 თვის საკასო ხარჯი 100,9 ათას ლარს შეადგენს, რაც საბიუჯეტო გეგმის 97,9 პროცენტია და 23,6 ათასი ლარით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. აღნიშნული მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯი 6,0 ათასი ლარით ნაკლებია საკასო ხარჯზე, რაც 2015 წელს 6 თვეში მარაგების გაზრდითაა გამოწვეული;

➤ გრანტების მუხლის 2015 წლის 6 თვის საკასო ხარჯი 1083,0 ათას ლარს

² 4 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება განპიროვნებულია ერთ პასუხისმგებელ პირზე.

³ შეუსრულებელია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-7 მუხლის მოთხოვნები.

შეადგენს, რაც საბიუჯეტო გეგმის 100 პროცენტია. აღნიშნული მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯი 4499,7 ათასი ლარით მეტია საკასო ხარჯზე, რაც 2015 წელს შემენილი და სხვა ორგანიზაციაზე არაფინანსური და ფინანსური აქტივების უსასყიდლოდ გადაცემით არის გამოწვეული.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის N140 განკარგულებით 4000,0 ათასი ლარი, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას გამოეყო სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოსთვის“ სარგებლობაში გადასაცემი ქონების შესყიდვის მიზნით. ასიგნება გათვალისწინებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2015 წლის ბიუჯეტით, რომელმაც ფიზიკური პირებიდან გულნარა და თამილა მიქელაძეებიდან შეიძინა ქ. ბათუმში, ანგისის დასახლებაში მდებარე 2197 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 997,9 კვ.მ შენობა-ნაგებობა და შპს „კრისტალის“ 100 პროცენტიაწილი. ამასთან, 2263,5 ათასი ლარის ხარჯი გაწეული იქნა არაფინანსური აქტივების მუხლით, ხოლო 2222,9 ათასი ლარის - ფინანსური აქტივების მუხლით. შესყიდული ქონების სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოსთვის“ გადაცემა განხორციელდა უსასყიდლოდ;

➤ სოციალური უზრუნველყოფის მუხლის 2015 წლის 6 თვის საკასო და ფაქტიური ხარჯი 18,1 ათას ლარს შეადგენს, რაც საბიუჯეტო გეგმის 100 პროცენტია და 33,4 ათასი ლარით ნაკლებია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე;


➤ სხვა ხარჯების მუხლის 2015 წლის 6 თვის საკასო ხარჯი 42,3 ათას ლარს შეადგენს, რაც საბიუჯეტო გეგმის 92 პროცენტია და 162,0 ათასი ლარით ნაკლებია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. აღნიშნული მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯი 4,2 ათასი ლარით ნაკლებია საკასო ხარჯზე, რაც 2014 წელს წარმოქმნილი დებიტორული დავალიანების ჩამოწერით და ახალი დებიტორული დავალიანების წარმოქმნით არის გამოწვეული.

საანგარიშო პერიოდში არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო ხარჯი 4538,8 ათას ლარს შეადგენს, რაც 2015 წლის 6 თვის საბიუჯეტო გეგმის 99,3 პროცენტს, ხოლო წლიური საბიუჯეტო გეგმის 19,8 პროცენტს შეადგენს.

ფინანსური აქტივების გეგმური მაჩვენებელი შესრულებულია 100 პროცენტით. ამ მუხლით სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოსთვის“ შპს „კრისტალის“ წილის შესყიდვის მიზნით გამოყოფილი და გახარჯული იქნა 2222,9 ათასი ლარი.

ვალდებულების კლების გეგმური მაჩვენებელიც შესრულებულია 100 პროცენტით. ამ მუხლით, 2015 წლის დაზუსტებული გეგმით, გათვალისწინებული და გახარჯულია 114,5 ათასი ლარი.

აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2015 წლის საკასო ხარჯების
ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებთან მიმართებით წარმოდგენილია შემდეგი
პროპორციით:



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ სარეზერვო ფონდიდან მიღებული 83,1 ათასი ლარი გამოყენებულია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების აღსრულებისთვის. აღნიშნული გადაწყვეტილებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოქალაქე ოთარ ბერიძის საჩივარი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დაავალა, ოთარ ბერიძის მიერ ქალაქ ბათუმში, ერას ქუჩა N9/11 -ში მდებარე 463,83 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართისა და მასზე წილობრივად მიმაგრებული 1108,88 კვ.მ მიწის ნაკვეთის პრივატიზების მიზნით 2006 წლის 21 ნოემბერს გამართულ აუქციონზე შეტანილი „ბეს“ - 100,0 ათასი აშშ დოლარის დაბრუნება. ამასთან, სამინისტროს დაევალა სასამართლოებში ოთარ ბერიძის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 5,4 ათასი ლარის გადახდაც.

აუდიტის პერიოდში სამინისტროს აპარატის მიერ გამოცხადებული იქნა 22 ტენდერი. მიღებული შედეგების გათვალისწინებით ხელშეკრულებები გაფორმდა 18 შემთხვევაში, უარყოფითი შედეგით დასრულდა 2 და ტენდერი არ შედგა 1 შემთხვევაში.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული 176 ხელშეკრულებიდან 6 შემთხვევაში ხელშეკრულება გაფორმებულია კონსოლიდირებული ტენდერის, 1 შემთხვევაში - ელექტრონული ტენდერის საშუალებით, 19 შემთხვევაში -

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, 149 შემთხვევაში - გამარტივებული შესყიდვისა და 1 შემთხვევაში - კონკურსის საშუალებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ერიცხებოდათ 2892,5 ათასი ლარის დებიტორული და 489,0 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება. სანგარიშო პერიოდში დებიტორული დავალიანება გაიზარდა 174,1 ათასი ლარით, ხოლო კრედიტორული დავალიანება - 761,1 ათასი ლარით და 2015 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, შესაბამისად 3066,6 ათასი ლარი და 1250,1 ათასი ლარი შეადგინა. დებიტორული დავალიანების ზრდა ავანსად გადახდილმა თანხებმა, ხოლო კრედიტორული დავალიანება კი მიწოდებული საქონლისა თუ მომსახურების აუნაზღაურებლობამ გამოიწვია.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

გოჩა შარაბიძე /უფროსი აუდიტორი/

 25.08.2015წ.

ანგარიშგების ფორმები

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა №1

ორგანიზაციის

ბალანსი

ორგანიზაციის დასახელება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ჩაბარების ვადა

ჩააბარა

პერიოდულობა: კვარტალური

ზომის ერთეული: ლარი

(ზელმოწერა)

2015 წლის 1 ივლისის მდგომარეობით

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ანგარიშგების ფორმები

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისი/ბოლოს	ნაშთი წლის (ცვრტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული საღარიბოში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული საღარიბოში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210		
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240		
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
100	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290	460908	793078
120	ფაქტორი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
130	მოკლევადიანი სესხები	1320		
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შესაძლებლობით	1354	2112	2112
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ცვლილებებზე აქტივების მომსახურების მოწოდებით	1355	101276	78681
210	გადახდილი დღგ	1356		
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		27234
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358	34	878
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ცვლილებების დანაკლისებით	1359		
250	სხვა დანაშრქნი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
260	მოთხოვნები მარტრით	1410		
270	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
280	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431	17027	23228
290	მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432	2772010	2934463
300	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		
310	არაფინანსური აქტივების მომსახურების მოთხოვნები	1450		
320	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		
330	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		
340	სხვა დანაშრქნი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480		
350	გრძელვადიანი სესხები	1510		
360	აქციები და სხვა კაპიტალი	1520		
370	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530		
380	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540		
II. არაფინანსური აქტივები				
390	სტრატეგიული მარაგები	1610		
400	სხვა მატერიალური მარაგები	1620	127601	267812
410	შენიშნა-წყვეტობები	2110	18175877	18871563
420	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	10363488	10800599
430	სხვა ძირითადი აქტივები	2130	872308	1091349
440	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2140	2983783	5075657
450	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	4954	2208
460	ფასილელობები	2300	115715	115715
470	არანაწარმოებული აქტივები	2400	287040287	379946645
	ზალანსი		323037380	420031222

**აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ანგარიშგების ფორმები**

კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის ნომერი	ჩაშთი წლის დასაწყისისათვის	ჩაშთი წლის (ცვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I. ვალდებულებები				
480	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		
490	მოშახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210	50372	513
500	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220	201748	699857
510	ვალდებულებები ბარტერიით	3230		
520	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241	35574	
530	გადასახდელი დღგ	3242	415	64820
540	გადასახდელი სამუშაოზე გადასახადი	3243	112	112
550	სხვა გადასახდელი	3244		
560	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკანო შესრულებით	3245		
570	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3246	200231	199657
580	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		
590	შტატარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252	512	512
600	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		
610	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		
620	დამპირების მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		
630	დამპირების მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
640	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავშირებული თანხებით	3257		
650	გადასახდელი სტიპენდიები	3258		
660	სოციალური დახმარების ანაზღაურებები	3259		
670	ვალდებულებები დეპონატების მიმართ	3260		
680	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		
690	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280		284591
700	გრძელვადიანი ვალდებულებები სესხებით	3310		
710	სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3320		
720	მოშახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3331		
730	აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3332		
740	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3333		
II. კაპიტალი				
750	წმინდა ღირებულება	5100	320907603	416853315
760	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		287032
770	გაუნაწილებელი მოგება	5220	1640813	1640813
780	დაუფარავი "ზარალი"	5230		
	ზალანსი		323037380	420031222
III. საცნობარო მუხლები				
790	სამეურავიო თვრით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები	01		
800	პასუხსაგან შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02		
810	გადახდისუნარიო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03		
820	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციამში	04	136889	136769
830	პირობითი მოთხოვნები	05		
840	პირობითი ვალდებულებები	06		
850	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07		
860	ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08	354907	354907
870	გადაგადამოწმული დავალიანებები	09		
880	ექსპლუატაციამში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი შეიკრფასიანი აქტივები	10	391959	373890
890	განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება	11		

ორგანიზაციის ხელმძღვანელი: _____

მთავარი მუდალტერი: _____

შ.ა.

*აღნიშნული სტრუქტურის მომსახურებში აკლდება ზალანსის ვალდებულებებისა და კაპიტალის ჯამს

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ანგარიშგების ფორმები

ზალისის დანართი ფორმა #2

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ორგანიზაციის დასახელება: აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

კოდი 245429200

პერიოდულობა: კვარტალური, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2015 წლის 1 ივლისისათვის

ზომის ერთეული: ლარი

სტრუქტურის კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	ზოგადი დამატებული წლიური ზღვრით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული ზღვრით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკმა ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახდა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდის ზღვრის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	1. ხარჯები	2	11,640,764	4,980,009	4,782,385	4,661,284	4,661,284	140,281,786	135,626,502
020	1.1 შრომის ანაზღაურება	21	3,394,800	1,669,996	1,630,981	1,524,478	1,524,478	1,524,478	0
030	1.1.1 ხელფასები	211			1,630,981	1,524,478	1,524,478	1,524,478	0
040	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111			1,630,981	1,524,478	1,524,478	1,524,478	0
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი ხარჯი	21111			1,118,291	1,077,510	1,077,510	1,077,510	0
060	1.1.1.1.2 წოდებრივი ხარჯი	21112							0
070	1.1.1.1.3 პრემია	21113			205,198	151,685	151,685	151,685	0
080	1.1.1.1.4 დანამატი	21114			307,492	295,283	295,283	295,283	0
090	1.1.1.1.5 პენსია	21115							0
100	1.1.1.1.6 კომპენსაცია	21116							0
110	1.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით	2112							0
120	1.1.2 სოციალური შენატანები	212	0	0	0	0	0	0	0
130	1.1.2.1 ფაქტობრივად განხორციელებული სოციალური შენატანები	2121							0
140	1.1.2.2 პირობითად განხორციელებული სოციალური შენატანები	2122							0
150	1.2 სატონელი და მომსახურება	22	4,712,464	2,048,006	1,904,745	1,890,147	1,890,147	1,764,443	-125,704
160	1.2.1 შტატარეშე მომსახურება ანაზღაურება	221			127,494	127,493	127,493	127,493	0
170	1.2.2 მიწისფლები	222			60,690	46,995	46,995	46,995	0
180	1.2.3 ოფისის ხარჯები	223			758,141	757,508	757,508	582,290	-175,218
190	1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	224			19,712	19,712	19,712	20,340	628
200	1.2.5 კვების ხარჯები	225							0
210	1.2.6 სამედიცინო ხარჯები	226							0

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ანგარიშგების ფორმები

220	1.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	227			19,516	19,516	19,516	19,516	0
230	1.2.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-მუშახელის ხარჯები	228			87,316	87,316	87,316	63,911	-21,405
240	1.2.9 სამხედრო ტექნიკისა და ტექნიკური ნაწილის შეძენის ხარჯები	229							0
250	1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210			831,876	831,607	831,607	903,898	72,291
260	1.3 მირითადი კაპიტალის მოხმარება	23							0
270	1.4 პროცენტი	24	0	0	0	0	0	0	0
280	1.4.1 საგარეო ვალდებულებებზე	241	0	0	0	0	0	0	0
290	1.4.1.1 ორმხრივი კრედიტორებზე	2411							0
300	1.4.1.2 მრავალმხრივ კრედიტორებზე	2412							0
310	1.4.1.3 კომერციულ ორგანიზაციებზე	2413							0
320	1.4.1.4 სხვა საგარეო ვალდებულებებზე	2414							0
330	1.4.2 საშინაო ვალდებულებებზე გარდა სახელმწიფო ერთეულებისა	242							0
340	1.4.3 სახელმწიფო ერთეულებიდან აღებული საშინაო ვალდებულებების	243							0
350	1.5 სუბსიდიები	25	100,000	100,000	99,765	99,765	99,765	99,765	0
360	1.6 გრანტები	26	0	1,083,000	1,083,000	1,083,000	1,083,000	136,835,407	135,752,407
370	1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს	261	0	0	0	0	0	0	0
380	1.6.1.1 მიმდინარე	2611							0
390	1.6.1.2 კაპიტალური	2612							0
400	1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	262	0	0	0	0	0	0	0
